სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 3 სექტემბერი, 2016

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ამ ენდა ჰგავდეც დღევანდელს, თუ კაცს პმთგტესი,
წინსვლა ადამიანსა თურ სიფცქვად ამ მიაჩნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შეძლება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებზე

2016 წლის 28–30 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა კონფერენცია თემაზე: "ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის".

კონფერენციის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა: სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების შესაძლებლობების ფართო განხილვა და ამ მიმართულებით ახალგაზრდა მკვლევარების წარმოჩინება, რომელთა ჩართვა გააღრმავებს ურთიერთთანამშრომლობას და ხელს შეუწყობს ერთობლივი სამომავლო პროექტების განხორციელების პერსპექტივებს.

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს: უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვას, პოლონეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის და თურქმენეთის მეცნიერებმა. მუშაობა წარიმართა სამი დარგობრივი მიმართულებით:

1. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები მემცენარეობაში;
2. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები მეცხოველეობაში;
3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები აგროინჟინერიაში.

კონფერენციის პირველ სამუშაო დღეს გაიმართა პლენარული სხდომა, რომელზეც სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერეო ფონდის

გენერალური დირექტორის მოადგილე თინათინ ბოჭორიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სწავლული მდივანი გიორგი სალუქვაძე, საქართველოს ბიომეურნეობების ასოციაციის "ელკანა"-ს დირექტორი მარიამ ჯორჯაძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლ. უჯმაჯურიძე, უკრაინის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, რუსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის დელეგაციების ხელმძღვანელები.

პლენარულ სხდომაზე საინტერესო მოხსენებები გააკეთეს აკადემიკოსებმა გ. ალექსიძემ, გ. ტყემალაძემ, ზ. ცქიტიშვილმა, სტუმართაგან: მ. ჯორჯაძემ, ("ელკანა") ვ. კუჩერიავიმ, (უკრაინა), ა. ალტიბაევმა (ყაზახეთი), ზ. მამედოვმა (აზერბაიჯანი), დ. მანახოვმა (რუსეთი), ზ. ხუზმიევმა (ჩრდ. ოსეთი).

კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ ჩანთებში ჩაწყობილი: შრომათა კრებული, პროგრამა და სამუშაო პროცესისათვის განკუთვნილი საკანცელარიო ნივთები. შრომათა კრებულში სულ გამოქვეყნდა 176 სამეცნიერო სტატია, აქედან 47 უცხოელი ავტორების, ხოლო 129 ქართველი მეცნიერების. კონფერენციის მუშაობაში, გამოცდილ მეცნიერებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქართველი და უცხოელი აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრანტები და დოქტორანტები. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა აზერბაიჯანელი მაგისტრანტის აიგიუნ ისმაილოვას მიერ ინგლისურ ენაზე გაკეთებულმა მოხსენებამ, რომელიც ეხებოდა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების როლს მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრაში.

კონფერენციის დაწყებამდე და მისი მსვლელობის პარარელურად, აკადემიის შენობაში მოეწყო ქართველ მეწარმეთა მიერ წარმოდგენილი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს აგრარული ფირმების წარმომადგენლები, სულ 25 წარმომადგენელი, მ.შ. კომპანიები: "თაფლიკაცი", "ღვინის ქურდები", "მონასტრული ჩაი", "მეღვინეობა ხარება", "Fredericus Secundus", ტელეკომპანია "საფერავი ტვ", ქალთა კოოპერატივი "ალვანი", ასოციაცია "მზიანეთი", შპს-ები: "საგვარეულო მარანი", "თელავის ძველი მარანი", "კახური ტრადიციული მეღვინეობა" ("ნენა"-ს ლოგოთი წარმოებული პროდუქციით), "ლოლაძეების საოჯახო მარანი", "სამთო ქიმია", ბიორაციონალური ტექნოლოგიების და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ინდ. მეწარმეები: ნოდარ ხუციშვილი (ჩურჩხელა), რომან მიშელაშვილი (თაფლი), გოჩა ღაღაშვილი ("ცივის ყველი"), რუსლან ინასარიძე (ყველი "მესხური ტენილი"), ბესო ჭიჭინაძე (ქართული კერამიკა), ემზარ სეხნიაშვილი (სალათის ფოთოლი), ფერმერი ნანი დათაშვილი (ყველი ვაიოს ველებიდან), ხალხური რეწვის ოსტატი იზოლდა გაბიტაშვილი, ტიხრული მინანქრის ოსტატი ნათია ნიკოლაიშვილი, სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია (ხელმძღვანელი ქალბატონი მაია ასაკაშვილი). უცხოელ და ქართველ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ, შეეფასებინათ და შეეძინათ ქართული სოფლის საუკეთესო პროდუქცია.

აკადემიამ განსაკუთრებული სითბო და ყურადღება გამოიჩინა სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების მიმართ, რომელთა მიერ წარმოდგენილმა მრავალფეროვანმა ექსპონატებმა კონფერენციის მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურეს. კონფერენციის მონაწილეებმა გამოხატეს თავისი აღფრთოვანება აკადემიის წამოწყების მიმართ, ხელი შეუწყოს უნარშეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა ინტეგრაციას საზოგადოებაში და მოუწოდეს სხვა ორგანიზაციებს აიტაცონ აკადემიის მაგალითი. აღსანიშნავია, რომ ბავშვებმა აკადემიას, მადლობის ნიშნად, თავიანთი ხელით თექისაგან დამზადებული ორიგინალური ნამუშევარი გადასცეს, რომელიც ამჟამად აკადემიის მუდმივმოქმედ

გამოფენაზე ინახება.

გამოფენა გაყიდვაში მონაწილე ყველა პირს აკადემიის პრეზიდენტმა საზეიმოდ გადასცა მადლობის სიგელები.

ქვეყნის კულტურისა და ქართული სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით, უცხოელი სტუმრებისათვის მოეწყო პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი ექსკურსიები საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში გულაშვილების "საგვარეულო მარანში" და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიდაურას ექსპერიმენტულ ბაზაში. უცხოელი სტუმრები გაეცნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციებს, ყურძნის 500 ქართულ ჯიშს და მათი მოვლა-მოყვანის წესებს, ხოლო ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგიას, ჩურჩხელის მომზადების პროცესს, შოთის პურის თონეში ჩაკვრას კი - გულაშვილების ოჯახის მაგალითზე.

კონფერენციის მესამე დღეს, დახურვის საზეიმო ცერემონიალზე, შეჯამებული იქნა ჩატარებული სამუშაოები, მიღებული იქნა "დეკლარაცია 2016", რომელიც მოგვიანებით დაეგზავნათ კონფერენციაში მონაწილე ყველა ორგანიზაციას და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი, ხოლო უცხოელ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრებიც.

კონფერენციაზე წარმოდგენილი და განხილული მოხსენებები და სიახლეები დაეხმარება ფერმერებს, მეწარმეებს და კონფერენციის თემატიკით დაინტერესებულ პირებს, ეკოლოგიურ საკითხთან მიმართებით, ცოდნის ამაღლებაში, გაუჩენს მოტივაციას აწარმოონ ეკოპროდუქტები და შეუერთდნენ ბიოფერმერთა რიგებს. ყოველივე აღნიშნული უბიძგებს დამწყებ ფერმერებს თავიდანვე განსაზღვრონ თავიანთი ფერმის მიმართულება, მიიღონ დიდი ოდენობით საუკეთესო ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომელიც ჩაანაცვლებს უცხოური წარმოების, ხშირ შემთხვევაში მდარე ხარისხის ნაწარმს. კონფერენციის მასალები ხელს შეუწყობს სპეციალური სახელმწიფო დახმარების პროგრამის შემუშავებას, რომელიც სტიმულს მისცემს ფერმერებს და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს ეკოპროდუქტების წარმოებაში. ყოველივე აღნიშნული იმედს იძლევა, რომ საქართველო და ქართული სოფლის პროდუქცია განსაკუთრებულ ნიშას დაიკავებს მსოფლიო ბაზარზე და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობას და შესაბამისად ეკონომიკის ზრდას.

და ბოლოს, აკადემია დიდ მადლობას უხდის ტელეკომპანია "საფერავი ტვ"-ს, რომელიც კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში აქტიურად აშუქებდა მთელ მის მსვლელობას და მთელ ქვეყნისათვის ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაცია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მისი სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

აკადემიის გამსვლელი სემინარი წარმოებაში

2016 წლის 01 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების (აკადემიკოს-მდივანი აკად. ჯ. გუგუშვილი), აკადემიის სამეცნიერო საბჭოს და საკონსულტაციო დარბაზის წევრების მიერ მოეწყო გასვლითი შეხვედრები ქ. მარნეულის შ.პ.ს. "ლაშარელას" (დირექტორი ზაზა ლაშხი), ფირმა "ლომთაგორას" (ხელმძღვანელი კახა ლაშხი), კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკის (დირექტორი გიორგი მაისურაძე) სპეციალისტებთან. სემინარის თემა: "მრპ სასაკლაოების და კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მდგომარეობა და მეცხოველეობის საკვებად ერთწლიანი კულტურებისაგან საკვების მომზადების არსებული ტექნოლოგიები".

ზემოთ აღნიშნული საწარმოების თანამშრომლებს, წარმატებული მენეჯმენტის და პროდუქტიული მაჩვენებლების სრულყოფისა და გაზრდის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, პროფესორების და გამოცდილი სპეციალისტების მიერ გაეწიათ შესაბამისი კონსულტაციები და გადაეცათ რეკომენდაციები.

მხარეებმა გამოთქვეს სურვილი და შეთანხმდნენ იმაზე, რომ წარმოებაში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დანერგვისათვის, მომავალშიც მოეწყოს მსგავსი ტიპის შეხვდრები.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის წიგნის პრეზენტაცია



პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი (1842-1908)

2016 წლის 08 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და პედაგოგის, პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის წიგნის “ღვინის დაყენება” პრეზენტაცია.

წიგნი დაიწერა და გამოიცა 1895 წელს, ხოლო განმეორებით გამოიცა 2016 წელს გამომცემლობა "მერიდიანის" მიერ (გამომცემელი კახა რუსიძე, რედაქტორი ბონდო კალანდაძე), იგი სახელმძღვანელოა სტუდენტებისა და პროფესიული კოლეჯების მოსწავლეთათვის, პრაქტიკოსებისა და მეწარმეებისათვის, განსაკუთრებით ოჯახური მეღვინეობის მეწარმეთათვის.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სსმმ აკადემიის წევრები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკად. არჩილ ფრანგიშვილი, ამავე უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი პროფ. გ. ქვარცხავა და სხვა თანამშრომელები, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ქიმიკოსები, ვეტერანი მეღვინეები, საპატრიარქოს წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

პრეზენტაცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ. პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და წიგნის "ღვინის დაყენება" მეცნიერულ ღირებულებებზე მოხსენებით გამოვიდა აკად. ნოდარ ჩხარტიშვილი; ვ. პეტრიაშვილზე ისაუბრეს ახალი გამოცემის რედაქტორმა ბონდო კალანდაძემ, აკად. ზურაბ ცქიტიშვილმა, წიგნის ახალი გამოცემის იდეის ავტორმა ბატონმა მამუკა ბერიაშვილმა, საქართველოს ღვინის სააგენტოს ხელმძღვანელმა ბატონმა გიორგი სამანიშვილმა, აკად. ნ. ბაღათურიამ, პროფ. რ. გახოკიძემ და სხვებმა.

პრეზენტაციის მსვლელობისას გაიმართა ვ. პეტრიაშვილის წიგნის "ღვინის დაყენება" (ახალი გამოცემა) გამოფენა-გაყიდვა.

ინფორმაცია:
შეხვედრები აზერბაიჯანში მეაბრეშუმეობის საკითხებზე.

2016 წლის 14 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე ინვესტორების ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა აზერბაიჯანის ქალაქ შეკში მეაბრეშუმეობის საკითხებთან დაკავშირებით. მას თან ახლდა საქართველოს სამხარეო განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის წევრები გიორგი ჟღენტი_აღმასრულებელი დირექტორი და გიორგი მენთეშაშვილი _ ასოციაციის წევრი.

ზემოთ აღნიშნულ ასოციაციას ბატონიშვილ იოანე ბაგრატიონის ხელმძღვანელობით სურვილი აქვს განახორციელოს ინვესტიციები საქართველოს მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში, რისთვისაც მათ მიიღეს სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II კურთხევა.

აზერბაიჯანში საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვდნენ მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (გენერალური დირექტორი, დოქტორი იუსუფ შუქურლუ) მეცნიერებსა და სპეციალისტებს, გაეცნენ სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის თუთის აბრეშუმხვევიას სელექციის ლაბორატორიის მუშაობას, იქ მიღებულ ჯიშებსა და ჰიბრიდებს, ქ. შეკის მეაბრეშუმეობის მრეწველობის სათაო ქარხნის ტექნოლოგიურ კომპლექსს და მათ მუშაობას, ქარხნის მიერ აბრეშუმის ძაფიდან მიღებულ მეტად საინტერესო პროდუქციას.

აღნიშნული შეხვედრები საინტერესო იყო იმითაც, რომ ინვესტორები გაეცნენ აბრეშუმის ძაფისა და აბრეშუმის ქსოვილის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიებს და ავტომატურ ტექნოლოგიურ ხაზებს, აგრეთვე აბრეშუმის ძაფიდან მიღებული ქსოვილის დამუშავების თანამედროვე მეთოდებს, ხოლო აკადემიკოსი ე. შაფაქიძე, როგორც BASCA-ს კოორდინატორი საქართველოში, ადგილზე გაეცნო მეაბრეშუმეობის მიმართულებით აზერბაიჯანში არსებულ მდგომარეობას, რათა საქართველო მომზადებული შეხვდეს BASCA-ს VIII საერთაშორისო კონგრესს 2017 წლის აპრილში, რომელიც სწორედ აზერბაიჯანის ქალაქ შეკში გაიმართება.

გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია გაფორმდეს მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ აზერბაიჯანის შეკის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენის, რეაბილიტაციისა და განვითარების საქმეს.

მრგვალი მაგიდა მეაბრეშუმეობის საკითხებზე

2016 წლის 28 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე:Е"მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია, კოოპერირება და ნედლეულის წარმოება".

მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ, აკადემიის წევრებმა - აკადემიკოსებმა ო. ქეშელაშვილმა, ნ. ჩხარტიშვილმა, რ. მახარობლიძემ ე. შაფაქიძემ, აკადემიის წ/კ გ. ნიკოლეიშვილმა; პრეზიდენტის მოადგილემ დოქტ. ა. გიორგაძემ; სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დ. გალეგაშვილმა და მინისტრის მრჩევლებმა აკად. თ. კუნჭულიამ და შ. კიკალიშვილმა; საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსმა ლ. კვერნაძემ, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლებმა; ხონის, მარტვილის ბაღდადის და ახმეტის რაიონების წარმომადგენლებმა; საქართველოს საპატრიარქოს და მეაბრეშუმეობის კორპორაციის წარმომადგენლებმა, "საფერავი ტვ"-ს გენერალურმა დირექტორმა დ. კოსტარიოვმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ.

საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა - რეაბილიტაციის პრობლემებისა და დარგის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ისაუბრა აკადემიის წ/კორესპონდენტმა გ. ნიკოლეიშვილი;

გაიმართა დისკუსია: BASCA-ს როლი საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენის, რეაბილიტაციის და განვითარების საქმეში - აკად. ე. შაფაქიძე, BASCA-კოორდინატორი საქართველოში; აბრეშუმის ჭიის გენოფონდი და თუთის აბრეშუმხვევიას სასელექციო საქმიანობის განვითარების პერსპექტივები - დოქტ. ნ. ბარამიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს შემდეგ თემებზე: "მეაბრეშუმეობის დღევანდელი მდგომარეობა ხონის რაიონში" - ბადრი ბახტაძე, ხონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი; "მეაბრეშუმეობის დღევანდელი მდგომარეობა მარტვილის რაიონში" - დოქტ. მერაბ ქვარცხავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი; "მეაბრეშუმეობის კოოპერატივის საქმიანობა ხარაგაულის რაიონში და სამომავლო პერსპექტივები" - დოქტ. მურმან არჯევანიძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველი; "მეაბრეშუმეობის კოოპერატივის საქმიანობა ახმეტის რაიონში და სამომავლო პერსპექტივები" - ნუნუ ნახუცრიშვილი, ახმეტის მეაბრეშუმეობის კოოპერატივის თამჯდომარე;

მრგვალი მაგიდის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს "საქართველოს სამხარეო განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ფონდის" წარმომადგენლებმა იოანე და ქრისტინა ბაგრატიონებმა, ფონდის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჟღენტმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენასა და რეაბილიტაციის მათ მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე ლოცვა-კურთხევა მიღებული აქვთ საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია II-საგან, რომელიც უდიდეს ინტერესს იჩენს საქართველოს მეაბრეშუმეობის აღდგენა, რეაბილიტაციისა და განვითარების მიმართულებით და ყოველდღიურად საქმის კურსშია ფონდის საქმიანობაზე.

საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა "ქართული აბრეშუმის კორპორაციის" დამფუძნებელმა ჯიმი ჩხაიძემ, რომელმაც აღნიშნა კორპორაციის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო საქმიანობა - საქართველოში 100000 თუთის ჰიბრიდული ნერგის შემოტანა და მათი ფერმერებისათვის საჩუქრად გადაცემა, რაიონებში მეაბრეშუმეობის კოოპერატივების ჩამოყალიბება (ხარაგაული, ახმეტა) და მათი ტექნიკური აღჭურვა, სხვა საქველმოქმედო ღონისძიებები.

მრგვალ მაგიდაზე გამოითქვა ბევრი საინტერესო წინადადებები, როგორიცაა:

· საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მეაბრეშუმეობის სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად სისტემატურ მონიტორინგს გაუწევენ რაიონებში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების პროცესს;

· შეიქმნას სამთავრობო დოკუმენტი - საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა, რეაბილიტაცია და განვითარების სტრატეგია;

· ეთხოვოს ეკონომიკის სამინისტროს ხონის რაიონში გაშენებული თუთის ნაკვეთებისათვის ყადაღის მოხსნა და მისი მუნიციპალიტეტის გამგებლობაში გადაცემა;

· აუცილებელია მეაბრეშუმეობის ბაზრის შესწავლა, რათა მეაბრეშუმეებს მოეხსნათ მათ მიერ მიღებული პარკის ჩაბარების პრობლემები;

· საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ დროულად, მოცემულ ვადებში დაასრულოს ვანის რაიონში მეაბრეშუმეობის განთითარების საინვესტიციო პროექტის დამუშავება;

· ეთხოვოს "საქართველოს სამხარეო განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ფონდს" და "ქართული აბრეშუმის კორპორაციას" დაინტერესდნენ ბუნებრივი თბილი წყლით გამთბარ გრუნტში დაავადებაგამძლე ჯიშების კალმების დაფესვიანებით სანერგეების მოწყობით და ქმედითი დახმარება გაუწიონ ამ მიმართულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას ტექნიკური პროექტის დამუშავებაში

. მიღებული იქნეს ჯიმი ჩხაიძეს წინადადება, აკადემიის ბაზაზე მუდმივმოქმედი მეაბრეშუმეობის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩამოყალიბების შესახებ.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დ. გალეგაშვილმა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ.

ინფორმაცია

2016 წლის 31 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სამუშაო ვიზიტით ესტუმრა ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ბელორუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პეტრე კაზაკევიჩი. იგი იმყოფებოდა საქართველოში ეკონომიკური თანამშრომლობის მესამე მოწვევის ბელარუსი-საქართველოს

სამთავრობათაშორისო კომისიის შემადგენლობაში და მონაწილეობა მიიღო ბელარუსიის რესპუბლიკის ეროვნულ გამოფენაში, რომელიც გაიმართა საგამოფენო კომპლექსში "ექსპო-ჯორჯია" (თბილისი, 01-04 სექტემბერი, 2016 წელი). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სტუმარს ესაუბრნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკად. ე. შაფაქიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები, აკადემიკოსები რ. მახარობლიძე, ზ. ცქიტიშვილი, ნ. ბაღათურია, აკად. ნ ჩხარტიშვილი, "საფერავი-ტვ"-ს დამფუძნებელი დ. კოსტარიოვი და სხვა.

სტუმარი გაეცნო აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საკითხების შესრულების მდგომარეობას.

თავის მხრივ პროფ. პ. კაზაკევიჩმა აკადემიის წევრებს გააცნო ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობა საერთოდ და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით და სურვილი გამოთქვა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია უნდა გახდეს ორი ქვეყნის აგრარული მეცნიერების თანამშრომლობის მაკოორდინებელი ორგანიზაცია; დაისახა ურთიერთ თანამშრომლობის მომავალი პერსპექტივები.

მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 17–25 სექტემბერი 2016 წელი

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. მისი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობამ 12 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. ეს თანხა მოხმარდა ინფრასტრუქტურულ, აღჭურვით და პროგრამული უზრუნველყოფისათვის აუცილებელ სამუშაოებს.

ახალი სასწავლო კორპუსი „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016-ის“ ფარგლებში გაიხსნა და აქვე გაიმართა ფესტივალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება „აგრარული მეცნიერების დღე“. ღონისძიება მოიცავდა აგრარული მეცნიერების თემაზე კონფერენციებს, საჯარო ლექცია-პრეზენტაციებს, ტრენინგებს. თავად ფესტივალი მეხუთე დღეა რაც მიმდინარეობს და არაერთი საინტერესო ღონისძიება შესთავაზა მეცნიერებს, დაინტერესებულ პირებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს. „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016“ 25 სექტემბერს საზეიმოდ დაიხურება.

რაც შეეხება აგრარული მიმართულების ახალ სასწავლებელს, მას გააჩნია ულტრათანამედროვე ლაბორატორიები და ისეთი აღჭურვილობა, რომლის მსგავსი საქართველოში არათუ ერთი ფაკულტეტის ფარგლებში, არამედ, რომელიმე უნივერსიტეტის ბაზაზეც კი, ჯერ არ არსებობს. სასწავლო კორპუსს ასევე აქვს სივრცე სამეცნიერო კვლევების საწარმოებლად და იგი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის არამედ, ახალგაზრდა მეცნიერებისთვისაც.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტში გაერთიანებულია 8 საგანმანათლებლო პროგრამა: მეცხოველეობა, აგრონომია, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, აგრობიზნესის მენეჯმენტი, სასურსათო ტექნოლოგიები, სატყეო საქმე, აგრარული ტექნოლოგიები და აგროინჟინერია. მათგან 7 პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან სრულადაა დაფინანსებული.

ამავე დღეს "მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი - 2016"-ის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შენობაში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "საქართველოს ფიტოგენეტიკური რესურსები და მისი გაუმჯობესების ინოვაციური ტექნოლოგიები".

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ; საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა -არჩილ ფრანგიშვილმა; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა - გურამ ალექსიძე; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსმა, აკადემიკოსმა ზაურ ჩანქსელიანმა; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორმა დავით ჩერქეზიშვილმა.

წარმოდგენილი იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. ვაზის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები საქართველოში;
2. სამკურნალო, არომატულ სანელებელ და საღებავ მცენარეთა გენეტიკური რესურსი საქართველოში;
3. სიახლე საქართველოს სიმინდის გენეტიკა-სელექციაში;
4. ველური, უეკლო კულტივირებული და in vitro მეთოდით გამრავლებული მაყვლის (Rubus Caesius) ბიოქიმიური თავისებურებანი.
5. მოცვისებრთა გვარის (Vaccinium) ბიომრავალფეროვნება, ბიოლოგიური თავისებურება, გადამუშავება და გამოყენება.
6. ტრიტიკალეს (×Triticosecale Wittm & A. Camus) ბიოლოგიური თავისებურებანი და სამეურნეო მაჩვენებლები.
7. in vitro კარტოფილის ელიტური თესლის მიღების ახალი ტექნოლოგია.
8. კაკლის in vitro სინჯარის მცენარეების მიღება.

სამეცნიერო კონფერენცია
“კლიმატის ცვლილების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე საქართველოში ”

2016 წლის 16 სექტემბერს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის პროექტის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “კლიმატის ცვლილების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე საქართველოში (კახეთი)” (პროექტის ხელმძღვანელი აკად. გივი ჯაფარიძე).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, აგრეთვე მოწვეულმა სტუმრებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა და მოხსენება გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საგრანტო პროექტის ხელმძღვანელმა, აკად. გ. ჯაფარიძემ. ძირითადი მოხსენებებით გამოვიდნენ: სმმა აკადემიკოსი გ. ალექსიძე, დოქტორი ვაჟა გოგიტიძე, დოქტორი დავით მაღრაძე. მომხსენებლებმა უპასუხეს დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

კონფერენციაზე განხილული სამეცნიერო პროექტის ძირითადი ასპექტები შეფასდა დადებითად, ხაზი გაესვა შესწავლილი საკითხების მაღალ მეცნიერულ დონეს და მიღებული შედეგების პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობას და პერსპექტივებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის იუბილარები

აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი - 60

2016 წლის 5 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს - აკადემიკოს პაატა კოღუაშვილს დაბადებიდან 60 და სამეცნიერო _ პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო პაატა!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს - დაბადებიდან 60 და სამეცნიერო- პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეც-ნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი - 80

2016 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს - აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო- პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო ვაჟა!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს - დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე - 80

2016 წლის 22 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს - აკადემიკოს რევაზ მახარობლიძეს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო _ პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო რევაზ!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს - დაბადებიდან 80 და სამეცნიერო_პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო_პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 10 საკითხი. მათ შორის: **საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის** ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავასთან შეხვედრის შედეგების შესახებ. ინფორმაცია " საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის " შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. **მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის" მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადრმიკოსი გურამ ალექსიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადრმიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.**

სოფლის მეურნეობის განვითარების ხედვა ტელეკომპანია "საფერავის" თვალით. მომხსენებელი: დოქტორი დ. კოსტარიოვი.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი

”აკადემიის მაცნე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.